



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბრძანებლო



გ ა ნ დ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 380  
---

6 აგვისტო  
“—” 2021 წ

## ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 4 აგვისტოს №21.1080.1224 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [ms.gov.ge](http://ms.gov.ge) რეგისტრირებული №012113578-67 (№0121200906-67; №012120418-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.1080.1224  
4 / აგვისტო / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, შეშეღიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწოდების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 15 მაისის N012113578-67 (N0121200906-67; N012120418-67) განცხადებით მიმართა ნოდარ ცქიტიშვილმა (პ/ნ 01024010433) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, შეშეღიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშეღიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046). ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაშილვრება მიწის ნაკვეთი, რომელზეც შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. დასავლეთით მიწის ნაკვეთი, რომელზეც ურცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე დასავლეთით გადის სარკინიგზო მაგისტრალი. სამხრეთით ტერიტორიას ესაშილვრება თ. შეშეღიძის ქუჩა. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მსხვილ სატრანსპორტო კვანძთან. კერძოდ, გურამიშვილის გამზირისა და გლდანი-დიამის განივი კავშირის გადაკვეთასთან. ტერიტორია, ასევე მდებარეობს ორ დონიან სატრანსპორტო კვანძთან, (თ. შეშეღიძის და ფეიქართა ქუჩები). ტერიტორიიდან 300 მეტრში მდებარეობს მეტრო სადგური სარაჯიშვილი, ხოლო 2 კმ-ს რადიუსში მეტრო სადგური ასმეტედის თავატრი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); ასევე, მცირე ნაწილზე ვრცელდება შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება.

„ქალაქ თბილისში, შეშეღიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N132 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ერთი შენობის განთავსება, მრავალფუნქციური კომპლექსი. ფუნქციური დანიშნულების პროცენტულობით 75%-25%, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი ფუნქცია;

საპროექტო წინადადების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

მიწის ნაკვეთის ფართობი - 9 377 კვ.მ.

კ1-0,4 - 3 750 კვ.მ

კ2-4,6 - 43 600 კვ.მ



### კ3-0.3 - 3 150.3 კვ.მ

საპროექტო შენობა-ნაგებობის საგარაუდო სართულიანობა - 26 სართული; 93 მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორგვე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაშე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაშე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა საგადადებულოა:

ა) გაუნაშენიანებულ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 4 აგვისტოს N012121676 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის N01212082865 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო საშსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.11.04.026.046 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების კეგმა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქითშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია დაეფუძნობა და განვითარება განაშენიანების გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანებისგანახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მშობლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქებანებითარების პოტენციალის ამორტურების ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქითშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია შხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, შეშეღლიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ემუსლის „ე.ბ.“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუსლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012113578-67 (N0121200906-67; N012120418-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვეტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, შეშეღლიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განვარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განვარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განვარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისმერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განვარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განვარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



გახა ქალაქე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01212082865  
თარიღი: 27/07/2021  
პინი: 3372

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპენტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 23 ივლისის №012120418-67 განცხადება და ამავე წლის 27 ივლისის №01212082859-67 შეტყობინების სახით ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ესება ქალაქ თბილისში, შეშეღიძის ქუჩის №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.04.026.046; ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 7 ძირი (01.11.04.026.046 ს/კ-ზე: №2; 01.11.04.026.046 ს/კ-ის მიმდებარედ: №11-16) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში, საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი ერთ ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტისა და 21<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში, 01.13.01.018.415 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი ერთი ძირი თუთა (№4 - D=8-12 სმ), მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ 01.13.01.018.415 საკადასტრო ერთეულზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი ერთი ძირი ჯანსაღი თუთას (№3 - D=30 სმ) დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოდება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტისა და 21<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს აღნიშნულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციექსიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაგაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული: 2 ძირი თუთა, 2 ძირი თელა, ერთი ძირი იფანი; გადასარგავი: 2 ძირი თუთა; საპროექტოდ დასარგავი: 5 ძირი ირმის რქა, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციექსიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს

21 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 83 ძირი მინდვრის ნეგერჩხალი, ჯამში - 116 ერთგული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ პ-3 გამწვანების პოტიკილის საანგარიშო ფართობს (2 814 მ<sup>2</sup>).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქალაქ თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმად წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმად 01.11.04.026.046 საგადასტრო ერთგულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქართველო  
სამართლის იურიდიკული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის თრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო**



წერილის ნომერი: 012121676

თარიღი: 04/08/2021

პინ: 2034

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

2021 წლის 23 ივლისს N 012120418-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, შემცირების ქუჩა N 18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.04.026.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.


აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადგებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 9 თებერვლის N0121040173-67 განცხადების პასუხად N 01210502891 წერილით.



ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია პვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი







9. Геодезическая съемка.

10. Геодезическая съемка.


482900

483100


482600


4625900

Номер участка	Длина участка	Ширина участка	Площадь участка	Номер участка	Длина участка	Ширина участка	Площадь участка
1	9377	0.9686	8.5829	2	0.9686	0.9686	0.9337




01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000
01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000
01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000
01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000
01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000	01000000000000000000000000000000






ՕՆՏԱԿԱՆ ՑԱՐ ԵՂԻՋԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՎԻՃԱԿԱՆ ԿԱՅԽԱՀԱՐԱՐԱԿԱՆ ՀԱՇՎԱԿԱՆ ԴՐԱՄ											
հ. է 0.11/04/026.346	բ. սպառություն	գ. մարտի 01, 2021	թ. օրենքը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	ա. աղյուսակը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	թ. օրենքը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	թ. օրենքը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	թ. օրենքը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	թ. օրենքը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	թ. օրենքը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	թ. օրենքը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում	թ. օրենքը սպառությունը սպառությունը կատարում է 2020 թվականի օգոստի 26-ի դրույթում
1	9377	0.4	4.6	0.3	93.33	0.6	93.33	0.3	4.6	0.4	9377



Հանձնություն կատարում է Տեղական գործադրության դամական կառույցի պատճենական աշխատանքները՝ աշխատանքային գործադրությունը համապատասխանությունը՝ 10 մետրով ։





1

નામાંકણીય અધિકારી/સર્વોચ્ચ કાર્યકારી		પ્રાથમિક વિનામાં	દ્વારા પ્રદાન કરું જાતું	સંપર્ક વિનામાં	A-3
શ્રીમતી. રાજીવ ગોવાડ	શ્રીમતી. રાજીવ ગોવાડ	બિ. 011101026046	યાદ "સુરતેની નં 2"	ફોન નં 9899999999	ફોન નં 9899999999
શ્રીમતી. રાજીવ ગોવાડ	શ્રીમતી. રાજીવ ગોવાડ	ફોન નં 9899999999	ફોન નં 9899999999	ફોન નં 9899999999	ફોન નં 9899999999

2



УДОСМОТРЕНИЕ СОГЛАСОВАНИЯ		ПОДДЕРЖКА, ВОЗМОЖНОСТИ	ПОДДЕРЖКА, ПОДДЕРЖКА	СОГЛАСОВАНИЕ	A-3
Бюджетное учреждение	б.з. 01100026046	г.М. "Магистраль № 2"	б. з. 2600000	б. з. 2600000	Бюджетное учреждение
ООО "Спецтехник"	б. з. 000000000000	б. з. 2600000	б. з. 2600000	б. з. 2600000	ООО "Спецтехник"
ООО "Спецтехник"	б. з. 000000000000	б. з. 2600000	б. з. 2600000	б. з. 2600000	ООО "Спецтехник"



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱռավարության կողմէ հարցում պահպանագործության մասին		ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՐՑԱԳՈՐԾՈՒՄ		ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՐՑԱԳՈՐԾՈՒՄ	
Ա. Խ. 011104026346	Ա. Խ. 011104026346	Դ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 2*	Դ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 2*	Հ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 18	Հ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 18
Օ. Խ. 011104026346	Օ. Խ. 011104026346	Լ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 2*	Լ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 2*	Վ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 18	Վ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 18
Հ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 2*	Հ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 2*	Հ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 18	Հ. Խ. ԽԱՆՔԵՐԻ Ն 18		

6



A-3	
Банкетный зал	10.07.2021
Офисы/Помещения	10.07.2021
Конференц зал	10.07.2021
Склад	10.07.2021
Гаражи	10.07.2021
Всего:	71



365353502600	б.д. 011104026046	6. Строительство	8303065000	A-3
365353502600	д. 06202000.	6. Строительство	8303065000	10.07.2021
365353502600	д. 06202000.	6. Строительство	8303065000	10.07.2021
365353502600	д. 06202000.	6. Строительство	8303065000	10.07.2021